საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) 145-ე მუხლის:
ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;“;

ა.ბ) „გ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;“;

ა.გ) „გ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.დ“ ქვეპუნქტი:

„გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;“;

ბ) 4^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^2 პუნქტი:

„4^2. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს მასთან შესაბამისობის ცხრილი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ამ რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ნორმატიული აქტის იმ პროექტზე, რომელიც ამ რეგლამენტის ამოქმედების მომენტისთვის მოწონებულია საქართველოს მთავრობის მიერ ან საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით არის წარდგენილი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ.

მუხლი 3. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**

ქუთაისი,

13 ივნისი 2018 წ.

N2516-IIს